დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

17.07.2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ვასილ

გვარი: კიკუტაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯემენტი და ადმინისტრირება.
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი № 16, 0103;
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #781255, 8.07.2022
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 24 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის	2023 წლის 24 ივნისი

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	24.06.2029

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

ახალი რეკომენდაციები არ არის შემუშავებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 8 ივლისის #7812555 გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით. ანგარიშის წარმოდგენის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 24 ივნისამდე. აკრედიტაციის დროს გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი, გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
3. ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაკორექტირდეს მათზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად: „პროექტების მართვის“, „ადამიანური რესურსების მართვის“, „ექსპორტის მენეჯმენტის“, „საინოვაციო მენეჯმენტის“ სასწავლო კურსების წინაპირობად განისაზღვროს „მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი. „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ წინაპირობად განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვის“ კურსი; „საგადასახადო საქმის“ საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს „ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების“ კურსი; „ინვესტიციების საფუძვლების“ წინაპირობად მიეთითოს „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი;
4. რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე (აღნიშნული კომპონენტით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება) განისაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის დადგომამდე არსებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;
5. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („აკადემიური წერის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ავიაციის საფუძვლები“, „ავიაბიზნესის საფუძვლები“, „მარკეტინგის საფუძვლები“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო საჰაერო

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ტრანსპორტის ეკონომიკა“ სწავლის შედეგების ფორმულირებების დახვეწა, რათა მოხდეს მათი გაზომვადობის ხარისხის გაზრდა;

6. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდების კორექტირება, მაგალითად სასწავლო კურსის „საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც „საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა „პროექტის მართვა მარტივად“, სტენლი ი. პორტნი, (For Dummes) მე-3 გამოშვება. გამომცემლობა პალიტრა L, 2016“ ჩანაცვლდეს თანამედროვე პროფილური აკადემიური ლიტერატურით. გარდა ამისა, გასაახლებელია შემდეგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: „ადამიანური რესურსების მართვა“, „აკადემიური წერის საფუძვლები“, „ბიზნესის ეთიკა“, „საერთაშორისო ბიზნესი“, „მეწარმეობა“, „აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და მართვა“, „საჰაერო კანონმდებლობა“, „საავიაციო ტექნიკის საფუძვლები“;
8. რეკომენდებულია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
9. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით;
10. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით

შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვიდან დგინდება დაწესებულების მხრიდან განხორციელდა კომპლექსური მიდგომა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. საწყის ეტაპზე მოხდა სამუშაო ჯგუფის ფორმირება, სადაც ჩართული იყვნენ როგორც ადმინისტრაციის წარმომოადგენლები, ისე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

წარმოდგენილი ანგარიშის და მასზე თანდართული მასალების თანახმად დაწესებულების მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.

რჩევ(ებ)ი[8]

1. ----------
2. ----------

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 8 ივლისის #7812555 გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად პროგრასთან დაკავშირებით განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები, კერძოდ:

- განხორციელდა ცვლილება პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში, კერძოდ მოდულს დაემატა „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ და „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ სასწავლო კურსები;
- დაკორექტირდა პროგრამის სასწავლო კურსებზე „პროექტების მართვა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ექსპორტის მენეჯმენტი“, „საინოვაციო მენეჯმენტი“, „კორპორაციული ფინანსების საფუძვლები“, ,,საგადასახადო საქმე“ და „ინვესტიციების საფუძვლები“ დაშვების წინაპირობები, კერძოდ „პროექტების მართვა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ექსპორტის მენეჯმენტი“, „საინოვაციო მენეჯმენტი“ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ,,მენეჯმენტის საფუძვლები“, ხოლო ,,კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ წინაპირობად განისაზღვრა „ფინანსური აღრიცხვის“ კურსი, „საგადასახადო საქმის“ საფუძვლების წინაპირობად განისაზღვრა „ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების“ კურსი“, ხოლო „ინვესტიციების საფუძვლების“ წინაპირობად განისაზღვრა „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი;
- დაკორექტირდა საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობა. კურსზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი;

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

- დაიხვეწა ზოგიერთი სასწავლო კურსების („აკადემიური წერის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ავიაციის საფუძვლები“, „ავიაბიზნესის საფუძვლები“, „მარკეტინგის საფუძვლები“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკა“) სწავლის შედეგების ფორმულირებები;
- დაკორექტირდა სასწავლო კურსის „საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება, როგორც „საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“;
- განახლდა გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა;
- დაზუსტდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები პრაქტიკანტების რაოდენობის და პრაქტიკის ხანგრძლივობის კონტექსტში;
- გაიზარდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- გააქტიურდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რაც აისახა კონკრეტულ შედეგებში.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[13]	2.2.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I[14]	***რეკომენდებულია „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი, გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;***
შეფასება	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, კერძოდ სასწავლო კურსი ,,კორპორაციული ფინანსების საფუძვლები“ პროგრამის სასწავლო გეგმით წარმოდგენილია როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.
რჩევა[15]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა; • სასწავლო კურსის:კორპორაციული ფინანსების საფუძვლები სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანამანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[16]	***რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“***

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ პროგრამაში წარმოდგენილია როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.
რჩევა[17]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა; • სასწავლო კურსის: „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება[18]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[19]	2.2. საგანამანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია III[20]	*ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაკორექტირდეს მათზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად: „პროექტების მართვის“, „ადამიანური რესურსების მართვის“, „ექსპორტის მენეჯმენტის“, „საინოვაციო მენეჯმენტის“ სასწავლო კურსების წინაპირობად განისაზღვროს „მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი. „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ წინაპირობად განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვის“ კურსი; „საგადასახადო საქმის“ საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს „ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების“ კურსი;*

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[19]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	„ინვესტიციების საფუძვლების“ წინაპირობად მიეთითოს „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი;
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ დაზუსტებულია კონკრეტულ სასწავლო კურსებზე დაშვები წინაპირობები. მაგალითად: სასწავლო კურსებს „პროექტების მართვა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ექსპორტის მენეჯმენტი“ და „საინოვაციო მენეჯმენტი“ შესწავლის წინაპირობად განესაზღვრათ სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები. სასწავლო კურსს „კორპორაციული ფინანსების საფუძვლები“ შესწავლის წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი „ფინანსური აღრიცხვა“, სასწავლო კურს „საგადასახადო საქმის საფუძვლები“ დაშვების წინაპირობად განესაზღვრა – „ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები“, ხოლო სასწავლო კურს „ინვესტიციების საფუძვლები“ - ,,კორპორაციული ფინანსების საფუძვლები“. აღნიშნული დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და დასტურდება როგორც როგორც პროგრამის სასწავლო გეგმით, ისე სასწავლო კურსების სილაბუსებით.
რჩევა[21]III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა; • სასწავლო კურსების სილაბუსები: „პროექტების მართვა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ექსპორტის მენეჯმენტი“, „საინოვაციო მენეჯმენტი“, „კორპორაციული ფინანსების საფუძვლები“, „საგადასახადო საქმის საფუძვლები“ და „ინვესტიციების საფუძვლები“.

სტანდარტის დასახელება[22]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[23]	2.2. საგანამანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IV[24]	***რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე (აღნიშნული კომპონენტით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება) განისაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის დადგომამდე არსებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;***
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ „საწარმოო პრაქტიკა“-ს დაშვების წინაპირობად განესაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი.
რჩევა[25]IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა; • საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება[26]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[27]	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV[28]	***რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („აკადემიური წერის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ავიაციის საფუძვლები“, „ავიაბიზნესის საფუძვლები“, „მარკეტინგის საფუძვლები“,***

[23]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[27]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	„მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკა“ სწავლის შედეგების ფორმულირებების დახვეწა, რათა მოხდეს მათი გაზომვადობის ხარისხის გაზრდა;
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ჩანს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ბლუმის ტაქსონომიური ზმენების გამოყენებით, არის ლაკონური, კონრეტული და შესაძლებელია მათი გამოყენება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.
რჩევა[29]IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო კურსების: აკადემიური წერის საფუძვლები“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ავიაციის საფუძვლები“, „ავიაბიზნესის საფუძვლები“, „მარკეტინგის საფუძვლები“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკა“ სილაბუსები;

სტანდარტის დასახელება[30]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[31]	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV[32]	*რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდების კორექტირება, მაგალითად სასწავლო კურსის „საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც „საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“;*
შეფასება	სასწავლო კურსის შინაარსის, ასევე თანამედროვე დარგობრივი მიდგომების გათვალისწინებით სასწავლო

[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[30]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[31]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[32]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კურსის ,,საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება დაკორექტირდა, როგორც ,,საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“, რაც ასახულია პროგრამაში. გამომდინარე აქედან აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[33]IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა; • სასწავლო კურსის: ,,საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“ სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება[34]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[35]	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV[36]	*რეკომენდებულია სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა „პროექტის მართვა მარტივად“, სტენლი ი. პორტნი, (For Dummes) მე-3 გამოშვება. გამომცემლობა პალიტრა L, 2016“ ჩანაცვლდეს თანამედროვე პროფილური აკადემიური ლიტერატურით. გარდა ამისა, გასაახლებელია შემდეგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: „ადამიანური რესურსების მართვა“, „აკადემიური წერის საფუძვლები“, „ბიზნესის ეთიკა“, „საერთაშორისო ბიზნესი“, „მეწარმეობა“, „აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და მართვა“, „საჰაერო კანონმდებლობა“, „საავიაციო ტექნიკის საფუძვლები“;*
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციის შესაბამისად წარმოდგენილი სასწავლო კურსების

[33]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[34]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[35]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[36]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	განახლებული სილაბუსები, სადაც გამოყენებულია თანამედროვე სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა, კერძოდ: 1. ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო. ავტორი-მაიკლ არმსტრონგი; სტივენ ტეილორი. გამომცემლობა-პალიტრა L 2020 წელი. 2. თინათინ ქავთარაძე,ნათია ქასრაშვილი,ნათია საღინაძე,სალომე პატარიძე, თინათინ საბაური,აკადემიური მუშაობის საფუძვლები,პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, ილიას სახელმწიფო უინივერსიტეტი, თბილისი, 2018; 3. Project management: Achieving Competitive Advantage. Jeffrey K. Pinto , 5th Edition, 2019 4. ბიზნესის ეთიკა (სახელმძღვანელო), ვ.ხიზანიშვილი, 2018 წ; 5. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა: ევროკავშირის გამოცდილება, ლ.თაკალანძე, თბილისი 2021; 6. „საერთაშორისო ბიზნესი გარე სამყარო და ოპერაციები“ ჯონ დ. დენიელსი; ლი ჰ. რედებოგი; დენიელ პ. სალივანი. პირსონი, ინგლისურენოვანი მეთოთხმეტე გამოცემის თარგმანი. თბილისი 2014; 7. ბრუს რ. ბარინგერი, რ. დუეინ აირლენდი, მეწარმეობა, ახალი საწარმოების წარმატებული წამოწყებისათვის, თბილისი 2019 8. SETH B. YOUNG, ALEXANDER T. WELLS, Airport Planning and Management, Seventh edition, McGraw-Hill, 2019 და ა.შ.
რჩევა[37]IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა; • სასწავლო კურსების სილაბუსები;

[37]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება[38]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[39]	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია IV[40]	***რეკომენდებულია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;***
შეფასება	აღსანიშნავია, რომ პროგრამის მტავარი დამსაქმებელი არი კომპანია შპს ტავ ურბან საქართველო, შესაბამისად წარმოდგენილია აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობის განახლებული მემორანდუმი, სადაც კომპანია გამოთქვამს მზაობას პრაქტიკაზე ერთდროულად სხვადასხვა დეპარტამენტებში მიიღოს 34 სტუდენტი, რაც მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს პროგრამის კიდევ უფრო განვითარებას.
რჩევა[41]IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • განახლებული ხელშეკრულება TAV საქართველოსთან;

სტანდარტის დასახელება[42]	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[43]	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია IV[44]	***რეკომენდებულია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით;***
შეფასება	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა დაწესებულება 2021 და 2022 წელს გამოაცხადა აკადემიური პერსონალის კონკურსი. კონკურსის შედეგად პროგრამას

[38]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[39]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[40]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[41]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[42]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[43]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[44]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	დაემატა დარგობრივი პროფილის 10 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 4 პროფესორი და 6 ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია და დარგობრივი კომპეტენციები დასტურდება მათი პირადი საქმეებით. აღსანიშნავია, რომ არსებული მდგომარეობით საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას ემსახურება 54 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა თანაფარდობა წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით 26/28 (აკადემიური/მოწვეული).
რჩევა[45]IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • პირადი საქმეები;

სტანდარტის დასახელება[46]	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება[47]	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია IV[48]	***რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით***
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში განხორციელდა აკადემიური პერსონალის საქმიანობის

[45]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[46]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[47]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[48]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ყოველწლიური შეფასება, რომელიც მოიცავდა 2021-2022 სასწავლო წელს. შეფასების შედეგების მიხედვით მაღალი შეფასების მქონე აკადემიური პერსონალს, ადმინისტრაციის მხრიდან გამოეცხადა მადლობა, ხოლო დაბალი შეფასების მქონე აკადემიურ პერსონალს, მიეცა რეკომენდაცია საქმიანობის გაუმჯობესებაზე. ასევე მიეცა რეკომენდაცია სამეცნიერო საქმიანობაში მეტი ჩართულების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2022-2023 წელს აკადემიური პერსონალის მონაწილეობით გამოიცა 2 სახელმძღვანელო და გაიმართა ორი სამეცნიერო კონფერენცია, ხოლო მათი უშუალო მონაწილეობით, პარტნიორი უცხოური უსდ-ს ეგიდით გაიმართა სტუდენტთა ორი სამეცნიერო კონფერენცია.
რჩევა[49]IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; • საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; • აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები;

თანდართული დოკუმენტაცია[50]

[49]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

1) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
2) საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
3) საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
4) სასწავლო კურსების:კორპორაციული ფინანსების საფუძვლები; ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში; პროექტების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; ექსპორტის მენეჯმენტი; საინოვაციო მენეჯმენტი; კორპორაციული ფინანსების საფუძვლები; საგადასახადო საქმის საფუძვლები; ინვესტიციების საფუძვლები; აკადემიური წერის საფუძვლები; მენეჯმენტის საფუძვლები; ავიაციის საფუძვლები; ავიაბიზნესის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები; მმართველობითი აღრიცხვა; საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკა; საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა სილაბუსები;
5) პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსი;
6) განახლებული ხელშეკრულება TAV საქართველოსთან;
7) აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
8) აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები;

ექსპერტის ხელმოწერა



[50]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა